სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურთ ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკუთრებლად შეუძლიათ მოვიდნენ ყოველ დილით ... საათამდე და საღამოს 6—? ... „ქ. ც. ხაზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
... რედაქციის შესახებ ყოველ დღე
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გაზეთი

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ყოვლად
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეორეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 4 მან.

## წლიური საერთო კრება

**ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების** „წევრთა კრება დანიშნულია 29 მაისს, საღამოს 7 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში განსახილველად შემდეგი საგნებისა.

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1898 წელს.
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ.
3) საყარაულდ აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1898 წლისათვის.
4) მოხსენება განსვენებულის ალ. რონაშვილის ნაანდერძევის შესახებ.
5) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.
6) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სამის კანდიდატისა.

!!მიაქციეთ ყურადღება!!

## ჩინეთის მაღაზია

**დ. ფ. დემენტიევისა**

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.

**იმყოფება ჩაი** პირველი მოკრებისა 1898 წლისა მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება **წვრილად და პარტიოდით**

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საქირო და სამკაულ ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

**საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი**

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია საჩუქრებისა და ნობათებისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, ილიში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—30)

გამოვიდა და ისყიდება
ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებსა და ეკკლესიებშიაც
ცხოვრება წმ. ქალწულ მოწამის

## მარინესი

ორჯელ გამოცემული მორჩილის რაჟდენ ბარამიძისა.

**ფასი ერთი შაური.** (10—2)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. გ. თოფურიასი

**ქუთაისში.**

**სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ ... ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. გ. **თოფურია**. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ა. **ზურაბი**.

ქალთა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. **კოზანი**.

თვალების ავადმყოფობას—ი. ა. **ვარშავსკი**.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. გ. თოფურია

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

*** არჩევნები სოხუმში. 17 მაისს, სოხუმის კლუბის დარბაზში დანიშნული იყო არჩევნები ქალაქის მომავალ თვითმართველობის მოსამსახურე პირთა. ასარჩევი იყო ქალაქის მოურავი და მისი თანაშემწე. ხმოსნებმა ბევრი სთხოვეს საბჭოს თავმჯდომარეს გენერალს ლომაკინს—მომზადებულნი არა ვართ არჩევნებისთვის და სხვა დროისთვის გადაგვიდებინეთ არჩევნებიო; მაგრამ ბ-ნმა თავმჯდომარემ არ შეიწყნარა ხმოსნების თხოვნა და არჩევნებს შეუდგა. ქალაქის მოურავის თანამდებობაზე კენჭი იყარეს სამსახურიდამ გამოსულმა შტაბ-როტმისტრმა ბ-ნმა ბერენსმა და აქაურმა ცნობილმა მემამულემ აზნაურმა პეტრე ივანეს ძე ბარკალაიამ, რომელმაც შემდეგის სიტყვით მიმართა ხმოსნებს არჩევნებამდე: „ბატონებო, დიდს მადლობას მოგახსენებთ, რომ პატივი მეცით და სოხუმის მოურავად ჩემი არჩევა განიზრახეთ. აქამდე, როცა კი შემეძლო, იმასა ვცდილობდი სოხუმისათვის მეზრუნა და მისთა მკვიდრთა კეთილდღეობისათვის მელვაწნა. ახლა მოხუცებული გახლავართ, მაგრამ ძზათა ვარ მაინც გემსახუროთ, რამდენადაც კი შემიძლია. თან, იმასაც მოგახსენებთ, ამ თანამდებობას იმიტომ კი არა ვკისრულობ, რომ რამე გამოსარჩენს მოველოდე; არა, ჩემი გულწრფელი სურვილია—უანგაროთ გემსახუროთ".

არჩევნებს დაესწრო 38 ხმოსნიდან მხოლოდ 27 ხმოსანი. პ. ბარკალაიას ამოუვიდა 16 თეთრი და 11 შავი, ხოლო ბერენსს 17 შავი და 9 თეთრი კენჭი. ამ სახით, არჩეულ იქმნა მოურავად პეტრე ბარკალაია.

მოურავის თანაშემწედ, სხვათა შორის, დასახელებულ იქმნენ ან. ჯოლელი და ქრისტ. ყარა-მურზა. ორივემ ყუთი დაიდგეს და ჯოლელს ამოუვიდა 16 თეთრი და 11 შავი, ხოლო ყარა-მურზას 15 თეთრი და 12 შავი.

პ. ბარკალაიას არჩევამ საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ასაცილებლად ამ მითქმა მოთქმისა და მოსალოდნელის უთანხმოებისა პ. ბარკალაიამ ქუთაისის გუბერნატორს თხოვნა მიართვა, მართალია, სოხუმელებმა ქალაქის მოურავად ამომირჩიეს, მაგრამ მე ზემო დასახელებულ პირობებში ამ თანამდებობას ვერ ვიკისრებ, ამიტომ გთხოვთ მოურავად ნუ დამამტკიცებთ და უბრძანოთ ხელახალი არჩევნები დანიშნონო.

ახალ არჩევნებს მოელიან თიბათვის პირველ რიცხვებში. სამი მეოთხედი ხმოსნებისა ქალაქის მოურავად ასახელებენ ჩვენს ცნობილს მწერალს და საზოგადო მოღვაწეს, განჯის გუბერნატორის სოვეტნიკს ბ-ნს ალ. ივ. სარაჯიშვილს, რომელმაც უკვე განაცხადა თანხმობა სოხუმის მოურაობაზე.

*** ქუთაისის ბანკის არჩევნები. ხვალ ქუთაისში იწყება კალისტრატობა კენჭობანა! სასტუმროს კარებები მთელი ორი კვირა ღიაა. ორპირის ზუთხი გამოილია. სალიანიდგან მოაქვთ. საღამოს ჩვენი სალაყბო ბულვარი სავსეა კენჭოსნებით. ამბობენ დიდი ხრიკებით გათავდება კენჭობანა. რომ არ მოელიან, ისეთი შტუკა მოხდება და ძველნი ისევ ძველებურად შესკუპდებიან ბანკსაო!

ქალაქის წინამძღოლს ბ. ლოლუას და გუბერნიის წინამძღოლს თავ. ს. წერეთელს ასახელებენ კრების თავმჯდომარის ალაგზე

ეს პატარა რეპეტიცია ქუთაისის ბანკის გრძელი ფარსისა, რომელსაც ამდენი ხანია თამაშობენ ბ. ჩიკვაიძე და მის მომხრენი და რომელიც დიდ დრამათ და ტრაღედიათ გადაექცა ქუთაისის თავად-აზნაურობას და მესხებლებს.

ჯ ჩიკვაიძე და იმის პარტია რასაკვირველია, სცდილობს დაფლეთილი ბანკის დაფლეთილი ბაირაღი ხელში მისცეს თავის მომხრეს, სულის ჩამდგმელს, საყვარელს ბ. ლუარსაბ ლოლუას.

თუ ეს გაიყვანა მებაირაღტრეთ დანარჩენი ამქარიც ამას მისდევს, და ქუთაისის დაგლეჯილ ბანკს, ძველი გამგეობის კბილებიდან ვეღარავინ გამოგლეჯს!!

მაგრამ თუ თავ. ს. წერეთელი აირჩიეს კრების თავმჯდომარეთ ეს იმისი ნიშანი იქნება, რომ გამგეობის პარტიას ძლევა მოსილობა მოჰკლებია.

ვნახოთ რა გამოვა რისაგან. თუმცა არა მრწამს რომ ძლევამოსილობა მათ მოაკლდა.

დ. ვერ-მიცანაძე

*** **პუშკინის დღესასწაული სასულიერო სემინარიაში.** 26 მაისს, ტფილისის სასულიერო სემინარიის ეკლესიაში, შესრულებულ იქმნა საღმრთო ლიტურღია და პანაშვიდი მგოსან ა. ს პუშკინის სულის მოსახსენებლად, მისი 100-სი წლის დაბადების მოგონების დღეს, სემინარიის ინსპექტორის მღვდელ-მონოზონის მ. დიმიტრის მიერ. მ. დიმიტრიმ მოკლე და გრძნობით სავსე სიტყვით მიმართა სემინარიის მოწაფეთ ა. პუშკინის შესახებ და სხვათა შორის ბრძანა, რომ ოვით ა. პუშკინმა და მისმა ლექსებმა დიდი ზნეობრივი გავლენა იქონიაო თანამედროვე რუსეთის საზოგადოებაზედ, რომელიც იმ დროს, დასავლეთ ევროპის გავლენის მიზეზით, სცდებოდა ნამდვილის გზიდგან და ა. პუშკინმა თვისი ლექსებით შთაბერა საზოგადოებას ჰაზრი მტკიცედ მდგარიყვნენ და არ გატაცებულიყვნენ მართლ მადიდებელის სარწმუნოების მავნებელი სწავლით. მ. დიმიტრიმ სიტყვა ამით გაათავა: ვსთხოვოთ ღმერთს, რომ კიდევ დაიბადნენ პუშკინები, გოგოლები და დოსტოევსკები. ამ დღეს სემინარიის ეკკლესიაში დაესწრენ თბილისის ეპარქიალური სასწავლებლის მოწაფე ქალები თავიანთი უფროსებით

წირვის შემდეგ სემინარიის და ეპარქიალურ სასწავლებლის მოწაფეებმა თავი მოიყარეს სემინარიის დარბაზში, რომელიც საგანგებოდ იყო მორთული ყვავილებით და სურათებით. განსაკუთრებითი ყურადღებას მიიქცევდა „ მგოსანის პუშკინის სურათი, რომელიც შუა დარბაზში ყვავილებში იყო გამოკიდებული და გარეშემო წარწერები ჰქონდა, ჯერ სემინარიის ხორომ რუსულად იგალობა რამოდენიმე ტაეპები მგოსნის პუშკინის ლექსებიდგან და შემდეგ მოწაფეებმა წაიკითხეს მისივე ლექსები და ბოლოს სემინარიის მასწავლებელმა ა. პ. ალბოვმა წაიკითხა ლექცია ა. პუშკინზედ. ლექტორმა განმარტა პუშკინის მოღვაწეობა ცხოვრების ასპარეზზედ და მისი ნაწერების ზნეობა-სარწმუნოებრივი მხარეები. ლექტორმა დაამტკიცა, რომ ა. პუშკინი იყოვო ჭეშმარიტი მორწმუნე და ღვთის მოყვარე კაცი. მან მშვენივრად იცოდა საღმრთო წერილი, რომლის დასამტკიცებლად მოიყვანა ბევრი ლექსები პუშკინისა საღმრთო წერილის წიგნების შინარსის მიბაძვით შედგენილნი. სწორედ დიდი ყურადღება მიიქცია ლექტორმა საზოგადოებისა და კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზედ. მოსალოდნელი იყო მისგან, რომ იგი უეჭველად კარგად გააცნობდა ყველას მგოსან პუშკინს, რადგან იგი 1882 წლიდგან რუსულ ენას ასწავლის სემინარიაში და ზედ მიწევნით აქვს შესწავლილი თეორია ზეპირ სიტყვიერებისა და ისტორია რუსულ ლიტერატურისა.

მღ ი. გ—ძე

*** **სლავიანსკის ხორო.** ტფილისს ეწვია სლავიანსკის ხორო, რომელმაც ჯერჯერობით სამი კონცერტი გამართა და მეოთხეც დღეს არის დანიშნული ტფილისის კრუჟოკის საზაფხულო სადგომში.

ამ კონცერტმა ყველას ყურადღება მიიქცია და მუდამ აუარებელი ხალხი ესწრება. ხორო საუცხოვოდ მღერის რუსეთის საერო სიმღერებს და ატკბობს მსმენელთ, განსაკუთრებით ყველას ყურადღებას იქცევს თვით ხოროს გამგე სლავიანსკი და მისი ქალი მარგარიტა სლავიანსკისა.

*** **ქ. გორი** პუშკინის დღესასწაული. 1899 წელს მაისის 26-ში გადახდილი იქმნა, ა. ს. პუშკინის სულის მოსახსენებლად, პანაშვიდი გორის სახელმწიფო ბაღში, იქ გალობდნენ გორის დედათა პროგიმნაზიის ქალების გუნდი და საოსტატო სემინარიის შეგირდები. საღამოთი იქმნა სალიტერატურო საღამო, სადაც იღებდნენ მონაწილეობას პროგიმნაზიის მოწაფე ქალები. სუყველანი კმაყოფილნი დარჩნენ...

*** **სად. ალსტაფა** (სათათრეთი). აქაურ მოვაჭრეებზე. სწორედ რომ ცუდ მდგომარეობაში [illegible]იან აქაური მცხოვრებლები [illegible]ებისაგან. წარმოიდგინეთ აქაური ვაჭრები, მაგალითად მეპურეები აქ არის ორი თუ სამი მეპურის დუქანი, რომლებიც სომხებს და თათრებს ეკუთვნით, მაგრამ ჩემმა მტერმა სჭამოს აქაური მეპურეების გამომცხვარი პური. ერთი რომ ძალიან დაბალი ხარისხისას აცხობენ, მეორე მჟავე და გამოუმცხვარი და მესამე პურს იმ ფასათ არა ჰყიდიან, რაც დაწესებულია. მეპურეებს თუ რაიმე შენიშვნა მიეცი ანუ გაუწყერი ისეთს შემოგიტევენ პირ-აქეთ, რომ იფიქრებ ნეტა სულ არ მეყიდა პური და არც მეჭამაო. მეპურეებმა ხომ ლამის ავად დაგვხადონ, მაგრამ ახ[illegible]ა მეხორცეებმი იკითხეთ, ხორცს ისეთსა ჰყიდიან, ასრე ვეგონებათ ძროხისა კი არა აქლემის ხორციაო, ფასსკი ზედ გადამეტებულს იღებენ. მაგალითად: გირვანქა ცხვრის ხორცი ღირს 15 კ.—ძროხის ხორცი—10 კ.—12 კ. მესამე ავილოთ სასადილო დუქნები: სასადილო დუქნებში სულ არ შეესვლება კაცს, თუ გაჭივრება მოგადგა და შეხვდი ამ ზემო აღნიშნულს პურს და აყროლებულს ხორცს მოგართმევენ, რას არ შეხვდებით საჭმელში, სპილოსა და კამეჩის მეტს ყველაფერს და რაც უნდა ძალიან გშიოდეთ საჭმელს თავს ანებებთ იხდით აქაც გადამეტებულს ფასს და მიდიხართ მშიერი სხვა მოვაჭრეებისაგანაც არ გვაყრია კეთილი, მაგრამ ვინ არის ამის ყურის მგდებელი? არავინა!.

— **აქაური უსუფთაობა.** ახლა მოიხსენეთ აქაურ სისუფთავეზე აქაურ ქუჩებში კაცს არ გაესვლება. ყოველივე მხარეს საითაც უნდა გაიაროთ, ყოველგან აყროლებული ტბები დგას. ამ ტბებიდგან ისეთი მყრალი სული ამოდის, რომ არამც თუ ციება, არამედ ჭირსაც კი შეეყრება აქაური კაცი, ისრედაც გაფუჭებული ჰაერია აქ და ამ უსუფთაობამ ხომ სულ გააფუჭა. იმედია ყოველივე ჩვენს შეწუხებას ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევენ.

— **აქეთ მოსავალს.** კაი პირი უჩანს და აქაურ მცხოვრებლებს, დიდი იმედიც აქვთ პურისა, ქერისა, საზამთროსი და სხვა ხილეულობისა. ამინდები კარგი დგას, მაისი მშვენიერათ გადის.

გურულ-ქართლელი.

*** **ს. ძამერტი.** (შუა ქართლი) ავადმყოფობა. ამ სოფელში ბევრნი გამოასალმა ულმობელმა შავმა სიკვდილმა ახალ-გაზრდა ვაჟებიც და ქალებიც. ავადმყოფობა სოფლეს უფრო უნდა მივაწეროთ, რადგანაც უფრო ამ სენით ბევრნი იხოცებიან ვიდრე ციებ-ცხელებით. წინათ ხშირად იხოცებოდნენ, მხოლოდ ეხლა კლებ
ლობს ციტ-ციტათი.

— **მარილის მადანი.** შარშ
იყო თუ შარშანწინ „ცნობ
ფურცელში“ დასტამბული ცნო
მარილის მადნის შესახებ, რ
მუშები აყენიან და ეძებენ მარი
სა მეთქი, მართალია ერთი ორ
კვირა მუყაითად მოეკიდნენ, მა
რამ ეხლა როგორც თქვენ
გახსოვთ იმ მარილის ადგილ
თხრა, ისე იმათ. წყალი, რომელი
ამოდის ციტ-ციტათი ძრიე
მლაშეა, (ეს წყარო გამოდის დ
მთიდგან და ზაფხულში გარეულ
მტრედები ძრიელ ეტანებიან
ადგილის) კარგი იქნება რომ ით
ვონ და იპოვნონ მარილის მად
ნი.

— **ქვა ნახშირი.** აგრეთვე ა
სოფლის ზემოთ ქვა-ნახშირი გ
მოსჩნდა, რომელიც უფრო სჯობ
ამ ნახშირს, რომელსაც შიი
ვწვამთ. კარგი იქნება იმასაც ყუ
რადღება მიექცეს...

ეკალი.

**სამეგრელო.** ისევ „სამეგრ
ლოს მეაბრეშუმეთა შუამავალი ა
ხანაგობის“ დაუდევრობაზედ. სა
ვირველი და საგმირონი არი
საქმენი „სამეგრელოს შუამავალ
ამხანაგობისა“. აი რა დაუდევრო
ბას და საქმის უცოდინარეობ
ვკითხულობთ გაზ. „ივერიის“
№-ში „შუამავალ ის“ გამგეობისა
აპრილის 25 დანიშნული ყოფ
ლა იქაური (იგულისხმეთ მარტ
ს. ძველ-სენაკი და არა სამეგრ
ლო, მაშ რისთვის უწოდებენ ზ
გიერთები სამეგრელოისას და ზ
გი კი ს ძველ-სენაკის „შუამა
ლი ამხანაგობისა“, სჩანს, რ
იგი ყოფილა კერძო პირებ
ე. ი. ს. ძველი-სენაკისა და ა
სამეგრელოსი?) მახლოს! ამხანაგ
ბის „შუამავალის“-ს წევრთა კ
ბა. მაგრამ, რადგანაც წევრთა
ნონიერი რიცხვი არ შეკრები
ამიტომ კრება ვერ შემდგარა.
ზეზი ამისა ისა ყოფილა, რ
„შუამავალი“ ამხანაგობის ბელ
გამგეს ზოგიერთ წევრთა
სრულიად ვერ შეუტყობინებ
ხოლო ზოგიერთ წევრს კრე
წინა დღეს და კრების დღეს მ
ღიათ ცნობა, რის გამოც, არ
რისაგან არაფერი გამომდნა
როგორც „ივერიის“ კორესპ
დენტი დიდის გულის ტკივი
აღნიშნავს ამ ამბავსა. ხედა
მკითხველო! რა სათამაშოთ
ხელსაგოგმანებელ მარგალი
გაუხდიათ ისეთი დიდი სა
როგორც არის „შუამავალი ა
ნაგობა“, რომელსაც შეუძლ
დღევანდელი ჩვენის დაცემუ
ხალხის ეკონომიურად წინ წაწ
რას უნდა მივაწეროთ გამგე
გვარი მოქმედება, საქმის უ

...არეობას თუ გულ-გრილობას? ...ცოდვის ბრალი აფერხებს ერთ ... მაინც წევრთა მოწვევას, სა-... ორი წელიწადიც შესრულდა ...კრება ერთხელაც არ ყოფი-... უკეთუ ბ. გამგეს არ შეუძ-...ან ამ საქმის მეთაურობა, ძა-... არავინ მისცემს მას ამ საქ-... და ათის წილად მისთვის უკე-...ი არ იქნებოდა, რომ რიგია-...კრება მოეხდინა წევრთა და ...ი გაეთავისუფლებინა? რისთვის ...ს იმ გვარ უღელში, რომლის ...ევას ვერ შეიძლებდა? ნუ თუ ...ა უნდოდა გულ-გრილო-... როდესაც დღეს თუ ხვალ ...კალ ბევრი არს (აბრეშუმის პარ-..., რომელსაც გარს ათასი ქორ-...არდენი (ჩარჩები) უთვალთვა-...ბენ, როგორის ხრიკებით იგ-...ნ საბრალო ხალხის ადგილობ-...ვი ნაწარმოებნი?.. სასურველია, ...ავე იქმნენ მოწვეული წევრე-... ვიდრე წრევანდელი პარკის ...ვა დაიწყებოდეს. აგრეთვე ...იროთ გამგეობამ კერძოდ ანუ ...ეთის საშვალებით წევრთა გარ-... სხვა პირებიც მოიწვიოს და ...ოვოს ყველას ძირი თანხის ...აძლიერებლად წევრად ჩაწერა, ...რემ, ვიმეორებთ, ღმერთი, რჯუ-..., იმ 3011 მანეთით ვერაფერს ...კეთებენ... კიდევ და კიდევ ვი-...არებთ წევრთა მოწვევას რაც ...ძლება ჩქარა, რადგანაც საქმის ...აწყებად ეს დრო უპრიანესია ...ა დროზედ...

ტელეფონი

# ...ა. ს. პუშკინი

(მოკლე ბიოგრაფია)

II *)

1818 წელს პუშკინმა გაათავა ...რსი ლიცეიში და ახლა დაიწყო ...არეზის ამორჩევა. უნდოდა ...იელ სამხედრო სამსახური, მაგ-...მ მამამ შეუშალა ხელი და ამი-...ამ სამოქალაქო სამსახურს მია-...ნა. მაგრამ სამსახური ნაკლებ ...ოსა სთხოვდა და ახალგაზდა ...მკინი მიეცა უმეტესად უზრუნ-...ლს, დარდიმანდულს ცხოვრებას ...ტერბურგში. საზაფხულოდ თა-... სოფელში წავიდა დედმამას-...ნ და დიდადაც ისიამოვნა იქაუ-...ობით, მაგრამ დიდხანს არ გაჰყ-... ეს სიამოვნება. მალე მოსწყურ-... ისევ სატახტო ქალაქის მოუს-...ნარი, დარდიმანდული ცხოვრე-... ცხოვრება დიდსა და მაღალს ...ზოგადოებაში. ეს სიყვარული ...ლაქის ცხოვრებისა, იქაურის ...უსვენრობისა და ჟრიამულისა ...ისაგან გამოჰყვა პოეტს. იმისა-...ვე ჰქონდა ალბად თან დაყო-...ლი პატივ-მოყვარეობაცა, დიდ-რაჯობის სიყვარული, მაღალ საზოგადოებაში ტრიალის მოუკვლელი წყურვილი. ამ წყურვილმა, რომელმაც იმსხვერპლა ბოლოს პუშკინი, მალე იჩინა თავი; იჩინა თავი მაშინვე, როცა პოეტი დატრიალდა პეტერბურგში.

თითქო მისი გარემოებანი ისე იყო მოწყობილი, რომ უფრო სალიტერატურო სფერებში უნდა გართობილიყო პუშკინი, მწერალთა და პოეტთა შორის უნდა ეტრიალნა უმეტესად, რადგან მისი ნიჭიცა და ბუნებაც ამას მოითხოვდა. ამასვე მოითხოვდა ის გარემოებაცა, რომ პუშკინი დიდის თანაგრძნობითა და ალერსით მიიღეს თვისთა თანამოძმე მწერალთა და თანამეკალმეთა. პუშკინი ისე იყო მიღებული მაშინდელ რომანტიკების მიერ, მაშინდელ საუკეთესო ახალგაზდა მწერალთა შორის, როგორც მათი ტოლი და სწორი, როგორც ამხანაგი და საყვარელი მეგობარი. მაგრამ პუშკინს გული სხვაფრივ უთქვამდა, მისი გონება მაღალ საზოგადოებისაკენ ჰქრიდა. იქ უნდოდა მკვიდრი ადგილი დაეჭირა, იქ სწყუროდა ბრწყინვა და თავის გამოჩენა. ამ აზრით ჰმალავდა კიდეც მაღალ საზოგადოებაში, გრაფებისა და დიდ თავადიშვილების ოჯახეში თავის პოეტობას, მელექსეობას. იქაც კი მალე მოსწყინდა იმათებური გართობა, ბალები და საღამოები და ახლა მიეცა დროს გატარებას დიდკაცობის დარდიმანდ ყმაწვილ-კაცთა შორის. სმა, უზომო სმა და ქეიფი, ღამეების თეთრად გათენება, ქალების ტრფიალი და უკან დევნა—აი რა შეიქნა ახლა მისთვის სანუკარი; გარნა ამისთანა ცხოვრებისათვის პუშკინს არც ჯანი მოსდევდა და არც ჯიბე. არც მამა მისი სერგეი იყო საზოგადოდ ხელგაშლილი კაცი, იმას არა ემეტებოდა-რა შვილისათვის, ხოლო თითონ ბევრს ვერას შოულობდა, ლექსებში მაშინ სასყიდელს არ აძლევდნენ, და მისი ჯამაგირი – 700 მან. წელიწადში—წვეთი იყო ზღვაში.

მუდმიკმა დროს ტარებამა და უზომო ქეიფმა ბევრჯელ ჩააგდო გაჭირვებაში პოეტი, ბევრჯელ სიკვდილის პირამდე მიიყვანა, ბევრჯელ აწვნევინა წვენი, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა და, თუ ჩაუვარდებოდა ხელში ფული, მაშინვე გააქრობდა დაუნანებლივ, დაუზარებლივ. ხანდახან იქამდე მივიდოდა ხოლმე, რომ გასართობად ზღვაში ისროდა ოქროს ფულს მთვარიან ღამეში: მიყვარს ყვითლად რომ პრიალებს ანკარა წყალში ოქროს ფულიო.

საკვირველი ის არის, როგორღა ასწრობდა ამისთანა ცხოვრებით გართული სალიტერატურო შრომას, ლექსებისა და პოემების თხზვასა და წერას. ხოლო რომ სალიტერატურო შრომასაც ცოტა დროს არ ანდომებდა, ეს ცხადად სჩანს იმ შავის რვეულებით, რომელიც დარჩა სიკვდილს შემდეგ და რომელიც წარმოადგენს „Русланъ и Людмила“-ს ვარიანტებს, მრავალნაირად გადათეთრებულებსა, ნაკეთებსა და ნასწორებს.

ათასში ერთხელ თავის მეგობარ მწერლებთანაც დადიოდა პუშკინი. «Русланъ и Людмила»-ს უკანასკნელი კარი რომ წაიკითხა იქ, ჟუკოვსკიმ უძღვნა ახალგაზდა პოეტს თვისი სურათი ამ წარწერით: Ученику отъ побѣжденнаго учителя—შეგირდს დამარცხებულის ოსტატისაგან; ხოლო ერთის ლექსის წაკითხვის შემდეგ, მაშინდელმა საუკეთესო პოეტმა ბატიუშკოვმა ხელში დაჰკუჭნა ხელნაწერი ლექსი და სთქვა: о, какъ сталъ писать этотъ злодѣй.

მართლაც, დიდი ალიაქოთი მოახდინა მისმა პირველმა პოემამ და მეტის-მეტად გააბრაზა ცრუ-კლასიკების მიმდევარნი. მდაბიო კილო და ენა პოემისა, სურათები ჩვეულებრივის ცხოვრებისა, სინამდვილე გრძნობათა—ყოველივე ესე უხვად სჩქეფდა ამ პოემაში და სრულიად არავითარი კვალი არ ემჩნეოდა ძველებურ მწერლების მაღალ-ფრაზოვანობისა და ყალბის გრძნობით აღფრთოვანებულის პიიტიკოსობისა. ახლა, რასაკვირველია, ამ პოემას საიმისო ღირსება და მნიშვნელობა აღარა აქვს, ხოლო მაშინ მისი დაბეჭდვა ჰგავდა „ყუმბარას უცებ გამსკდარს მდუმარებაში ანუ ცხრა-თვალ მზესა, უეცრივ ამოსულს ხშირს სიბნელეში“.

მაგრამ როდესაც ასეთი ალიაქოთი ასტეხა პუშკინის პოემამ მწერლობასა და საზოგადოებაში, როდესაც მის გამო ერთმანეთს ეკვეთა ორი სალიტერატურო ბანაკი—კლასიკები და რომანტიკები, თვით ავტორი პეტერბურღში აღარ იყო: იგი იყო განდევნილ მთავრობისაგან რუსეთის სამხრეთად.

საქმე ის არის, რომ პუშკინი ეტანებოდა სხვა და სხვა საიდუმლო საზოგადოებაში წევრობას, უფრო კი მაღალ ფარდებში ტრიალს, მაგრამ რადგან ჯერ ყმაწვილი იყო და ვერ ენდობოდნენ, თავ ქარიან ყმაწვილ კაცად მიაჩნდათ, არ იღებდნენ წევრად. ხოლო მაღალი ფარდები საზოგადოებისა ზიზღით უცქეროდნენ მის გვარიშვილობას, არა ისე მაღალხარისხოვანს, დიდებულს და ბრწყინვალეს. ამან ძალიან გააბოროტა და მრავალი ხუსხიანი ეპიგრამები დააწერინა სხვა და სხვა მაღალ-ხარისხოვანთა შესახებ, ამის გამო ბევრნი გადაიკიდა მტრად. არავინ უთმობდა მწარე ენით გაკილვას, შხამიანს ოხუნჯობას და აი გავრცელდა მის შესახებ არა ერთი და ორი ისეთი ჭორი, რომელმაც დიდათ შეარყია მისი თავმოყვარეობა“

ყოველ ამას მოჰყვა ის, რომ პუშკინი მიიწვია პეტ. გენ.-გუბერნატორმა გრაფმა მილორადოვიჩმა და უბრძანა პოლიცმეისტერს, წადი ამის სახლში და ანუსხე, რაც ხელთნაწერები ჰნახოვო. ტყუილად ჰგზავნითო, უპასუხა პუშკინმა, ვერას იპოვით იქ, სჯობიან ქაღალდი და კალამი მიბოძოთ და აქვე დავწერ ყველაფერს, რისპოვნაც გინდათო. დაჯდა მართლა და ზეპირად დასწერა ის ლექსები და ეპიგრამები, რისთვისაც აღელდნენ მის წინააღმდეგ.

ამავე დროს პუშკინი მიჰფრინდა ყარამზინთან, აუხსნა ყოველივე გარემოება და სთხოვა, მიშველე, მირჩიე რამეო. თვალცრემლიანმა მოისმინა მისი საყვედური და დარიგება. დაგეხმარები, თუ დამპირდები, რომ ერთის წლის განმავლობაში მაინც არას დასწერ მთავრობის წინააღმდეგ, რათა მე მტყუანი არ გამოვიდე, რაკი ვსთხოვ ხელმწიფეს შენს პატივებასაო. პუშკინმა სიტყვა მისცა და არც პირი გაიტეხა. მხოლოდ შემდეგ 1821 წ. დასწერა მან ლექსი ხანჯალი და შეაქო ეს იარაღი, როგორც პირველი ღონისძიება, ყოველგვარ ბოროტებისა და უსამართლოების დამამხობელი.

პუშკინმა მაინც თავისი არ დაიშალა და თეატრში ნაცნობებს აჩვენებდა სურათს ბერიის ჰერცოგის მკვლელისას. ამ ამბავმა ხელმწიფემდე მიაღწია. ხელმწიფემ ალექსანდრე I-მა უბრძანა ლიცეის დირექტორს ენგელგარტს: „პუშკინი ციმბირში უნდა გაიგზავნოს. მთელი რუსეთი მოჰფინა შემაძრწუნებელის ლექსებით. მამწონს იმისი გულახდილი ქცევა გენერალ-გუბერნატორ მილორადოვიჩთან, მაგრამ მაგით საქმე არ გასწორდება“. „თქვენი ნებაა, თქვენო უდიდებულესობავ, უპასუხა ენგელგარტმა, მაგრამ მაპატიეთ, რომ ერთ სიტყვას მოგმხსენებთ ჩემ მოწაფეთ ნამყოფისათვის. არა ჩვეულებრივი ნიჭი ეტყობა მაგ ყმაწვილ კაცს და შეწყნარება უნდა მაგისთანა ნიჭს. პუშკინი ეხლავე შვენებაა ჩვენის ლიტერატურისა, ხოლო შემდეგისათვის უფრო მეტის იმედია. ციმბირში გაგზავნამ შესაძლოა დაჰღუპოს ეგ ჭაბუკი, რადგან მეტად ცხარისა და აღგზნებულის ხასიათისაა. მე ვგონებ, რომ თქვენი დიდსულოვნება, ხელმწიფეო, უფრო ჭკუაზე მოიყვანს“.

*) ...იხ. «ცნობ. ფურც». № 827.

ჩაადაევიც ჩაერია მის საქმეში და ათხოვნინა ყარამზინს იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულისა და პუშკინის უფროსის გრაფ კაპოდისტრიისათვის შეწყალება პოეტისა, მაგრამ მისი დასჯა უკვე გადაწყვეტილი იყო, თუმცა სასჯელი მაინც საკმაოდ შეუმსუბუქეს. ისე მოხერხდა საქმე, რომ პუშკინი ვითომ გაგზავნილი კი არა, არამედ გადაყვანილ იქმნა სხვა სამსახურში რუსეთის სამხრეთად.

გრ. ყიფშიძე

(შემდეგი იქნება)

## თეატრის მატიანე

**ფოთი.** საქველ-მოქმედო წარმოდგენა. კვირას, 23 მაისს, ადგილობრივ საკრებულო დარბაზში ქ. ქ. ნ. კახიძის თაოსნობით და ნ. გაბუნია-ცაგარელის დახმარებით გაიმართა ქართული წარმოდგენა, აქაურ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ, რომელიც დასრულდა ლეკურის თამაშით და ევროპიულ ტანცაობით. ფოთის საზოგადოება ყოველთვის მზად იყო და არის ხელი მოუწყოს ხოლმე ყოველ კეთილ და სასარგებლო საქმის და გვირგვინებას, მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ ამ წარმოდგენაზედ იმოდენა ხალხი მოვიდა, რომ საჭირო შეიქმნა ქალაქის ინჟენერის მოყვანა და დარბაზის სიმაგრის შემოწმება; ინჟენერმა განაცხადა, რომ მეტს ნუ შემოუშვებთ, რადგან დარბაზის იატაკი ვერ გაუძლებს და ჩაიმტვრევაო. თანაც ბილეთები სულ გაყიდული დარჩა, ხალხი ამის მიუხედველად, მაინც თხოულობდნენ ადგილს; ბევრი ისევ შევიდა დარბაზში და ბევრი ადგილის უქონლობის გამო გულ დაწყვეტილი სახლში დაბრუნდა.

საზოგადოდ თამაშმა კარგად ჩაიარა. ყველა სინიდისიერად იყო მომზადებული. საჭირო იყო მხოლოდ ცოტათი მაინც უკეთესი პიესა ამოერჩიათ. განსაკუთრებით ხიბლავდა საზოგადოდ თავისი მოხდენილ თამაშით ქ ნი გაბუნია-ცაგარლისა და პატივისცემის ნიშნათ მიართვეს ერთი თაიგული და ძვირფასი ხელოვნური ნივთები.

ერთი კაი საფიქრებელი, ფოთში უმეტესი ნაწილი ქართველობაა და ქართული წარმოდგენა კი სანატრელი გაგვხდომია, სხვა საქართველოს კუთხეებში კი, სადაც თით-ოროლა ქართველები სანთლით საძებრად გამხდარა, თვეში ან ერთხელ მაინც კი იმართება წარმოდგენა. იმედია ჩვენი ახალგაზრდობა ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას და უფრო ხშირ-ხშირად გამართვენ წარმოდგენებს, გარდა ამისა საჭიროა გაიმართოს იაფ ფასიანი ხალხური წარმოდგენები, რათა მდაბიო ხალხსაც შეეძლოს თავისუფალის დროს გონივრულათ მოხმარება.

თეოფილე გუგიტიძე

## რედაქციისაგან

**გუგუნაყათში** ფარ-შინს. თქვენი წერილი მოხუცის შევიწროებაზე არ იბეჭდება. რადგან თქვენს ვინაობას არ გვაცნობინებთ და არც იმ მოხუცის გვარს გვაუწყებთ

**გორაში** ეკალს. თქვენი წერილი ახალციხეზე არ იბეჭდება, რადგან საინტერესო არ არის

## განცხადებანი


### ექიმი
კ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ К. М. Чиковани

Михайлов., № 16.

გაზეთ „კავკასის“ კანტორაში

ისყიდება

რუსული ახალი წიგნი

### ნორ-ქალაქ
(ბინოკლისა)

წერილები უნებურად ორ-ცოლიანისა და საზოგადოდ გაუფრთხილებელის კაცისა.

**ფასი 1 მან.**, გაგზავნით ფოსტით 1 მ. 25 კაპ. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ 25%.

ამ გამოცემის წმინდა შემოსავალი დანიშნულია გადმოსახლებულთა სასადილოსათვის ტფილისში. (20—15)

იყიდება

„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში

იაფ-ფასიანი

სახალხო გამოცემანი:

თავ. ილია ჭავჭავაძე . 2 „
ალექსანდრე ეპისკოპოსი 2 „
სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე . . . . 2 „
პატარა ბიბლიოთეკა . . 2 „

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.

მსურველნი მიჰმართავენ („ცნობის ფურცლის“ რედაქციას. 30—27)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой [illegible] мышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебн[ыхъ] заведеніи**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій— 1-е число каждаго мѣсяц[а].

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальств[а]**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳ[ме]тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счета[хъ], 2) монетныя вычисленія, 3)товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) то[р]говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 [за]дачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и [у] автора: Михайловская ул., № 71.** (100—24)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ

НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ

для самообразованія

# МІРЪ БОЖІЙ

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ, листовъ.*

1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и п[ри] томъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія пре[дпо]лагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЕТРИСТИКА ОРИГИНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. [Вер]бицкой; «Ришатау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Артур[а]» (путевые очерки), Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), разс[казъ] Ю. Безродной; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Горь[ка]го; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; разсказ[ы] г.г. Бунина, Потапенко, Станюковича, Чирикова

**Научныя статьи и сочиненія.** «Антропологическіе очерки» проф[.] Брандта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», .В Битнера; «Ча[р]льзъ Парнель», Ев Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», час[ть] III. П. Милюкова. «Александръ I и его время»,А. Прѣсякова: «А. С. Пу[ш]кинъ (юбилейная статья) Ив. Иванова; «В Г. Короленко», Ив. Иванов[а;] «Ада Негри», В. Фритче: «Очерки по соціальной экономіи», прив -доц. [М.] Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Крживицк[аго]; «Положеніе труда въ Англіи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріусъ [и] эмпиріокритицизмъ», проФ. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, [ея] настоящее и будущее, д-ра философіи В Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной филос[о]фіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Религія красоты» (Джонъ Ре[с]кинъ и его идеи), Сизерана; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки, т[ех]ники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи тайны[хъ] обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки. Изъ западно[й] литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Теку[щ]шія научныя новости. Библіографія. Новости иностранной ли[]тературы.

### УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкой и пересылкой во всѣ гороса Россіи на годъ 8 руб
Безъ доставки на годъ . . . . . . 7 »
За границу на годъ . . , . . . 10 »
Вмѣсто разсрочки допускается подписка:

| По полугодіямъ; | по третямъ года: |
| --- | --- |
| Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода 4 р. | Съ доставкой и пересылкой во в[сѣ] города Россіи; |
| За границу . . . 5 р | въ январѣ . , . 3 |
| Безъ доставки по соглашенію конторой | » маѣ . . . . 3 |
| | » сентябрѣ . . . 2 |
| | За границу: въ январѣ 4 |
| | » » » маѣ . . 3 |
| | » » » сентябрѣ . 3 |

Адресъ: С -Петербургъ, Лиговка, 26.

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку б[езъ] повышенія подписной цѣны

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница *А. Давыдова*. Редакторъ *В. II. Острогорскій*


Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Мая 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“) გ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბ[illegible]